სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

13 ნოე 2026

გადაწყვეტილება # 882026994804-05 (13.11.2026)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **882026994804** განცხადების მიღების თარიღი: **02.11.2026 17:27**

დაინტერესებული პირი: **შპს ავერსი-ფარმა (211386695)**

წარმომადგენელი: **ნათია ქააძე (01011073083)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, დავით კობახიძის ქუჩა, N 33, 01.19.28.001.392**

მომსახურების სახე: **სერვიტუტის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია სერვიტუტის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე .

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ შენობა N13 და N14 იცვლის მდგომარეობას.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 ::: www.napr.gov.ge